სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080119398404623

№ 1882 26 / ივნისი / 2023 წ.

## მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

### აღწერილობითი ნაწილი

**1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 21 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის SMP230001668 მომართვა რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

**2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება**

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა, სასტუმროს მომსახურების (CPV-55100000 - სასტუმროს მომსახურება) შესყიდვა, განხორციელებული შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა 17150 ლარი.

**3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება**

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2023 წლის 19 ივნისს მომხდარი სტიქიური მოვლენის (ძლიერი ნალექი) შედეგად, ქალაქ მარნეულში იაღლუჯის ქუჩა ქ. N70-ში დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, შესაბამისად, საფრთხის წინაშე დადგა მითითებულ საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. რის გამოც, საჭირო გახდა მყისიერად მოქალაქეების სასტუმროში გადაყვანა. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულმა ვითარებამ, აიძულა შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

**4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება**

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

### სამოტივაციო ნაწილი

**5. შემაჯამებელი დასკვნა**

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

**6. სააგენტოს შეფასება**

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, 2023 წლის 19 ივნისს მომხდარი სტიქიური მოვლენის (ძლიერი ნალექი) შედეგად, ქალაქ მარნეულში იაღლუჯის ქუჩა ქ. N70-ში დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, შესაბამისად, საფრთხის წინაშე დადგა მითითებულ საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. რის გამოც, საჭირო გახდა მყისიერად მოქალაქეების სასტუმროში გადაყვანა. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულმა ვითარებამ, აიძულა

შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის დაყოვნება, დიდი ალბათობით, გამოიწვევდა არსებული მდგომარეობის გაუარესებას, კერძოდ, საფრთხე შეექმნებოდა მოქალაქეების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ამასთან, დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-13 პუნქტებით და დაადგინა:

1.მართლზომიერად იქნეს ცნობილი მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე